ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია
1000, ბაღდათი, წერეთლის ქ. # 9
ტელეფონი: (+995) 591 90 90 05
ელ-ფოსტა: info@baghdati. gov. ge

Baghdati Municipality City Hall
9, Tsereteli Street, Baghdati,Georgia, 1000
Telephone: (+995) 591 90 90 05
E-mail: info@baghdati. gov. ge

www. Baghdati. gov. ge

N 41/5340
07/10/2020

ა.(ა.)ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და

კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორს

ბატონ ვალერი კვინიხიძეს

ბატონო ვალერი,

მოგეხსენებათ, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიასთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ახორციელებს, სსიპ - ახალგაზრდული სააგენტოს მილიონიანი ფონდის საგრანტო პროექტს ,,GAME ზონ“. პროექტის მიზანია, ბაღდათის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული სივრცის ფუნქციონირება, რომელიც ორიენტირებული იქნება, ახალგაზრდების პიროვნული უნარ-ჩვევების გაზრდასა და მათ სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიურად ჩართვაზე.

პროექტის ფარგლებში, 2020 წლის 20 აგვისტოს მხარეებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (თან ერთვის), რომლის თანახმად, ახალგაზრდული სივრცის მოწყობის მიზნით, დროებითი სარგებლობის უფლებით გამოყოფილ იქნა თქვენდამი დაქვემდებარებული, რ. ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრის შენობის პირველ სართულზე არსებული ფართი. დროებითი სარგებლობის უფლებით გამოყოფილი ფართის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს და მის მატერიალურ - ტექნიკურ აღჭურვას, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით უზრუნველყოფს ა/ო ,,თაობათა დიალოგი“. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის 1-ლი მუხლის 1.1. 5. ქვეპუნქტის მიხედვით, პროექტის განხორციელების ვადაში (2021 წლის 25 აპრილამდე) კომუნალური გადასახადების დაფარვას განახორციელებს ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი.

გთხოვთ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველმხრივ უზრუნველყოთ ახალგაზრდული პროექტის ,,GAME ზონა“ მხარდაჭერა.

პატივისცემით,

კახა ენუქიძე

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე